



2026 წლის სახელმწიფო
ბიუჯეტის იანვრის თვის
შესრულების

მიმოხილვა

საქართველოს პარლამენტის
საბიუჯეტო ოფისი

2026
თებერვალი

ძირითადი მაჩვენებლები (მლნ ლარი)

შემოსულობები - 3,256.7 მლნ ლარი

42.0%

3 თვის
გეგმის

10.6%

წლიური
გეგმის

გადასახდელები - 3,148.5 მლნ ლარი

39.8%

3 თვის
გეგმის

10.2%



წლიური
გეგმის

ნაშთის ცვლილება
108.1 მლნ ლარი


საოპერაციო სალდო
177.4 მლნ ლარი

მთლიანი სალდო
-3.8 მლნ ლარი


შემოსულობების და გადასახდელების კომპონენტები



გადასახადების სტრუქტურა





ხარჯების სტრუქტურა



სახელმწიფო ბიუჯეტის ძირითადი მაჩვენებლები

„საქართველოს 2026 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით, შემოსულობების წლიური გეგმა განსაზღვრულია 30,759.4 მლნ ლარის ოდენობით. 2026 წლის იანვარში მიღებული შემოსულობები 3,256.7 მლნ ლარს (წლიური გეგმის 10.6%) შეადგენს და წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 938.6 მლნ ლარით (40.5%-ით) აღემატება.

2026 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით გადასახდელების წლიური გეგმა განსაზღვრულია 30,881.4 მლნ ლარის ოდენობით. 2026 წლის იანვარში ბიუჯეტიდან გაწეული გადასახდელები 3,148.5 მლნ ლარს (წლიური გეგმის 10.2%) შეადგენს, რაც 869.0 მლნ ლარით (38.1%-ით) მეტია წინა წლის 1 თვის მაჩვენებელთან შედარებით.




სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების 3 თვის გეგმა^[1] განსაზღვრულია 7,757.1 მლნ ლარით, ხოლო 1 თვეში მიღებული შემოსულობები გეგმის 42.0%-ს შეადგენს. შემოსულობების კომპონენტებს რაც შეეხება, 3 თვის გეგმის მიმართ, შესრულების კარგი მაჩვენებელი აქვს შემოსავლებს (33.5%), არაფინანსური აქტივების რეალიზაციიდან შემოსულობები დაბალი მაჩვენებლით ხასიათდება (10.6%), ხოლო ფინანსური აქტივების კლებისა და ვალდებულებების ზრდის მუხლით შემოსულობები მაღალი (შესაბამისად, 67.2%-იანი და 70.3%-იანი) შესრულებით გამოირჩევა.


სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელების 3 თვის გეგმა განსაზღვრულია 7,903.2 მლნ ლარის ოდენობით, 1 თვის ფაქტობრივი მაჩვენებელი კი გეგმის 39.8%-ს შეადგენს. რაც შეეხება 3 თვის გეგმის შესრულებას გადასახდელების კომპონენტების მიხედვით, 3 თვის გეგმის მიმართ, ხარჯებს შესრულების კარგი მაჩვენებელი აქვს (31.4%), არაფინანსური და ფინანსური აქტივების ზრდის მუხლებით გადასახდელები დაბალი შესრულებით ხასიათდება (შესაბამისად, 26.4% და 16.0%), ვალდებულებების კლების მუხლით გადასახდელები კი მაღალი მაჩვენებლით გამოირჩევა და 82.1%-ს შეადგენს.

[1] „საქართველოს 2026 წლის ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლების, არაფინანსური აქტივების კლების და ფინანსური აქტივების კლების და საქართველოს 2026 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კვარტალური განხერის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2025 წლის 31 დეკემბრის N358 ბრძანებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2026 წლის 29 იანვრის №30 ბრძანება.

შემოსულობების კომპონენტების დაგეგმილი და ფაქტობრივი მაჩვენებლები (მლნ ლარი)




გადასახდელების კომპონენტების დაგეგმილი და ფაქტობრივი მაჩვენებლები (მლნ ლარი)



2026 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის საოპერაციო სალდომ, 1 თვეში, 177.4 მლნ ლარი შეადგინა, ხოლო მთლიანმა სალდომ - -3.8 მლნ ლარი. მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია 2022-2026 წლების 1 თვის საოპერაციო სალდოსა და მთლიანი სალდოს მაჩვენებლები.

რაც შეეხება ნაშთის ცვლილებას, 2026 წლის დასაწყისისათვის, სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთის მოცულობამ 1,465.7 მლნ ლარი შეადგინა. იანვარში მიღებული შემოსულობების და განეული გადასახდელების გათვალისწინებით, ნაშთის დაგროვება 108.1 მლნ ლარს გაუტოლდა და 2026 წლის 1-ელი თებერვლისთვის, სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთი 1,573.9 მლნ ლარის ოდენობით განისაზღვრა.


საოპერაციო სალდო და მთლიანი სალდო 2022-2026 წლების 1 თვეში (მლნ ლარი)



სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები

2026 წლის იანვარში, სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები 3,256.7 მლნ ლარს შეადგენს. შემოსულობების ფორმირება ძირითადად შემოსავლებისა და ვალდებულებების ზრდის კომპონენტების ხარჯზე განხორციელდა, რომელთა წილობრივი მაჩვენებლებიც შემოსულობების, შესაბამისად, 60.5%-ს და 38.0%-ს უტოლდება. შემოსავლები, 2024-2025 წლების იანვრის მაჩვენებლებთან შედარებით, ნომინალურ გამოხატულებაში, გაზრდილია, თუმცა მისი წილობრივი მაჩვენებელი შემოსულობებში შემცირებულია. ვალდებულებების ზრდით შემოსულობები კი გაზრდილია, როგორც ნომინალურ გამოხატულებაში, ისე წილობრივად შემოსულობებში, რაც 2021 წელს გამოშვებული ევრობონდების რეფინანსირებისათვის, მიმდინარე წლის იანვარში 1,331.9 მლნ ლარით ვალდებულებების ზრდას უკავშირდება. რაც შეეხება არაფინანსური და ფინანსური აქტივების კლების კომპონენტებს, აღნიშნული შემოსულობების ჯამური წილი შემოსულობებში მცირეა და 1.5%-ს შეადგენს (2024-2025 წლების ანალოგიურ პერიოდში, შესაბამისად, 7.4%-ს და 5.9%-ს უტოლდება).

სახელმწიფო ბიუჯეტის 1 თვის შემოსულობების კომპონენტები (მლნ ლარი)




შემოსავლების სახით, იანვარში, 1,970.1 მლნ ლარია მიღებული, 3 თვის გეგმის 33.5% და წლიური გეგმის 7.9%, წინა წლის მაჩვენებელზე 48.1 მლნ ლარით (2.5%-ით) მეტი. შემოსავლების კომპონენტებიდან, 3 თვის გეგმის შესრულების მხრივ, გადასახადებს კარგი მაჩვენებელი აქვს, სხვა შემოსავლები მაღალი შესრულებით გამოირჩევა, გრანტები კი შესრულების დაბალი დონით ხასიათდება.

იანვარში მიღებული გადასახადები 1,880.4 მლნ ლარს, 3 თვის გეგმის 33.8%-ს და წლიური გეგმის 8.1%-ს შეადგენს. გადასახადების თითქმის ნახევარი 47.2% (887.3 მლნ ლარი) საშემოსავლო გადასახადზე მოდის, 35.5% - დღგ-ზე. ცალკეული სახის გადასახადის 3 თვის გეგმის შესრულების მაჩვენებლები 23.8% - 43.7%-ის ფარგლებშია (მ.შ. აქციზი - ყველაზე დაბალი და საშემოსავლო გადასახადი ყველაზე მაღალი მაჩვენებლით გამოირჩევა). რაც შეეხება სხვა გადასახადებს, აღნიშნული გადასახადის 3 თვის გეგმა 20.0 მლნ ლარით არის განსაზღვრული, ფაქტობრივად კი -92.1 მლნ ლარს შეადგენს^[2]. 2025 წლის იანვრის მაჩვენებელთან შედარებით, გადასახადები 59.2 მლნ ლარით (3.2%-ით) გაზრდილია, რაც ძირითადად, საშემოსავლო გადასახადის 16.5%-იან ზრდას უკავშირდება.

წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, საშემოსავლო გადასახადის მატება, ძირითადად, დამქირავებლის მიერ დაკავებული საშემოსავლო გადასახადის 109.7 მლნ ლარით (16.7%-ით) ზრდას უკავშირდება. დღგ-ის სახით, იანვარში, სახელმწიფო ბიუჯეტში 666.7 მლნ ლარი ჩაირიცხა, წინა წელთან შედარებით 22.3 მლნ ლარით (3.5%-ით) მეტი (მ.შ. საქართველოს ტერიტორიაზე რეალიზებული პროდუქციიდან და განუული მომსახურებიდან დღგ 24.7 მლნ ლარით გაზრდილია, იმპორტირებული პროდუქციის დაბეგვრიდან კი 2.4 მლნ ლარით შემცირებულია). აქციზი, წინა წელთან შედარებით, 12.7%-ით (14.0 მლნ ლარით) მომატებულია, ძირითადად, ადგილობრივი პროდუქციის დაბეგვრიდან შემოსავლის 13.6 მლნ ლარით მატების გავლენით.

[2] 2016 წელს სახაზინო კოდექსის სისტემაში განხორციელებული რეფორმის საფუძველზე, დეკლარაციის ვადის დადგომამდე გადახდილი გადასახადის აღრიცხვა ხორციელდება „სხვა გადასახადის“ მუხლში, საიდანაც დეკლარაციის ვადის დადგომის შემდეგ ხდება მათი გადატანა გადასახადის შესაბამის სახეში. ამასთან, ამავე მუხლიდან ხორციელდება თანხის გადატანა გადასახადების ზედმეტად გადახდილი თანხების დაბრუნების ქვეანგარიშზე, შესაბამისად, სხვა გადასახადის მაჩვენებელი კონკრეტულ საანგარიშო პერიოდში შესაძლებელია იყოს როგორც დადებითი, ისევე უარყოფითი სიდიდე.

სახელმწიფო ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები 2025-2026 წლების 1 თვეში (მლნ ლარი)



გრანტების მოცულობა იანვარში 3.0 მლნ ლარია, რაც 3 თვის გეგმის 2.7%-ს და წლიური გეგმის 0.9%-ს შეადგენს. მ.შ. საინვესტიციო გრანტები 0.5 მლნ ლარს და ცენტრალური ბიუჯეტის სსიპ-ებიდან გრანტის სახით მიღებული შემოსავალი 0.1 მლნ ლარს უტოლდება. გარდა ამისა, სახელმწიფო ბიუჯეტში აისახა საბიუჯეტო ორგანიზაციებზე დონორების მიერ გამოყოფილი მიზნობრივი დანიშნულების გრანტები 2.4 მლნ ლარის ოდენობით.

სხვა შემოსავლებს სახით, 1 თვეში, ბიუჯეტში მობილიზებულია 86.7 მლნ ლარი, 3 თვის გეგმის 41.3% და წლიური გეგმის 6.0%, რაც წინა წლის მაჩვენებელზე 8.5 მლნ ლარით (9.0%-ით) ნაკლებია და ძირითადად ადმინისტრაციული მოსაკრებლებისა და გადასახდელების კლებას უკავშირდება (აღნიშნული შემოსავლის სახით, მიმდინარე წლის იანვარში ბიუჯეტში 8.7 მლნ ლარი ჩაირიცხა, წინა წლის ანალოგიურ პერიოდში კი - 18.9 მლნ ლარი). სხვა შემოსავლის ძირითადი ნაწილი (48.4%), შემოსულია საკუთრებიდან (42.0 მლნ ლარის ოდენობით) და არაკლასიფიცირებული ტრანსფერებიდან (21.3%, 18.5 მლნ ლარის ოდენობით).

არაფინანსური აქტივების კლებას მუხლით შემოსულობები (4.3 მლნ ლარი) 3 თვის გეგმის 10.6%-ს და წლიური გეგმის 2.1%-ს შეადგენს, წინა წლის მაჩვენებელზე კი 4.5 მლნ ლარით (51.3%-ით) ნაკლებია. აღნიშნული შემოსულობების უდიდესი ნაწილი, 99.2%, 4.2 მლნ ლარის ოდენობით, არანარმოებული აქტივების რეალიზაციიდან, კერძოდ, რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზიიდან არის მიღებული (წინა წლის იანვარში მოცემული შემოსულობები 8.7 მლნ ლარს შეადგენდა), ძირითადი აქტივების რეალიზაციიდან კი 34.3 ათასი ლარია შემოსული.


ფინანსური აქტივების კლებას მუხლით (გაცემული სესხების დაბრუნებიდან) შემოსულობები, 3 თვის გეგმის მიმართ, მაღალი, 67.2%-იანი შესრულებით გამოირჩევა და 43.7 მლნ ლარს შეადგენს (წლიური გეგმის 8.7%), თუმცა წინა წლის მაჩვენებელს 83.5 მლნ ლარით (65.6%-ით) ჩამორჩება.

ვალდებულებების ზრდის მუხლით შემოსულობები, (1,238.6 მლნ ლარი) 3 თვის გეგმის მიმართ, ასევე, მაღალი, 70.3%-იანი შესრულებით ხასიათდება (წლიური გეგმის 24.5%), რაც 2021 წელს გამოშვებული ევრობონდების რეფინანსირებისათვის, მიმდინარე წლის იანვარში ვალდებულებების ზრდას უკავშირდება, კერძოდ, 2026 წელს დასაფარი ევრობონდების რეფინანსირების მიზნით, ახალი ევრობონდების გამოშვებით საგარეო ვალდებულებების აღების შედეგად, იანვარში ბიუჯეტში მიღებულია 1,331.9 მლნ ლარი (წლიური გეგმის 98.7%). გარდა ამისა, საინვესტიციო კრედიტების სახით ბიუჯეტში შემოსულია 45.1 მლნ ლარი (3 თვის გეგმის 24.8%). რაც შეეხება საშინაო ვალდებულებების წმინდა ზრდით შემოსულობებს, იანვარში, სახაზინო ვალდებულებებისა და სახაზინო ობლიგაციების გამოშვებისა და დაფარვის შედეგად მიღებულმა წმინდა შემოსულობამ -138.4 მლნ ლარი შეადგინა.

	1 თვის ფაქტი	3 თვის გეგმის შესრულების %	წლიური გეგმის შესრულების %
ვალდებულებების ზრდა	1,238.6	70.3%	24.5%
საშინაო	-138.4	-59.9%	-7.7%
საგარეო	1,377.0	89.9%	42.2%
ევრობონდები	1,331.9	98.7%	98.7%
საბიუჯეტო კრედიტები	0.0		
საინვესტიციო კრედიტები	45.1	24.8%	3.5%

სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები


2026 წლის იანვარში, სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელებმა 3,148.5 მლნ ლარი შეადგინა. ყველაზე დიდი წილი, 56.9%-ის ოდენობით, მოდის ხარჯებზე, რომელიც, 2024-2025 წლებთან შედარებით, ნომინალურ გამოხატულებაში გაზრდილია, ხოლო წილობრივად გადასახდელებში - შემცირებული. კერძოდ: 2024 წლის იანვარში, ხარჯების წილი გადასახდელებში 77.3%-ს შეადგენდა, ხოლო 2025 წლის იანვარში - 77.4%-ს. რაც შეეხება გადასახდელების დანარჩენ 3 კომპონენტს (არაფინანსური აქტივების ზრდას, ფინანსური აქტივების ზრდასა და ვალდებულებების კლებას), 2026 წლის იანვარში, მთლიან გადასახდელებში არაფინანსური აქტივების ზრდის კომპონენტის წილობრივმა მაჩვენებელმა 5.9% შეადგინა, ფინანსური აქტივების ზრდის მაჩვენებელმა - 0.4% და ვალდებულებების კლების მაჩვენებელმა - 36.8%, რომელიც როგორც ნომინალურ გამოხატულებაში, ასევე, წილობრივად გადასახდელებში, 2024-2025 წლებთან შედარებით, გაზრდილია. 2025 წლის იანვარში, ზემოაღნიშნული კომპონენტების წილი გადასახდელებში გადანაწილებული იყო, შესაბამისად, 13.6%-ის, 4.3%-ის და 4.7%-ის ოდენობებით, ხოლო, 2024 წლის იანვარში - 17.3%-ის, 0.4%-ის და 5.1%-ის ოდენობებით.



მიმდინარე წლის იანვარში, ხარჯებმა 1,792.7 მლნ ლარი შეადგინა, რაც 3 თვის გეგმის 31.4% და წლიური გეგმის 7.7%-ია. 3 თვის გეგმასთან მიმართებით, პროცენტის მუხლი შესრულების მაღალი მაჩვენებლით (60.9%) გამოირჩევა, სოციალური უზრუნველყოფის (30.6%), შრომის ანაზღაურების (29.4%) და სხვა ხარჯების (29.3%) მუხლები შესრულების კარგი მაჩვენებლით ხასიათდება, ხოლო საქონლისა და მომსახურების (23.5%), სუბსიდიების (21.9%) და გრანტების (16.4%) მუხლები შესრულების შედარებით დაბალი დონით განისაზღვრა. ხარჯების მოცულობა, 2025 წლის 1 თვის მაჩვენებელთან შედარებით, 28.5 მლნ ლარით (1.6%-ით) გაზრდილია, რაც დაკავშირებულია ხარჯების ყველა კომპონენტის მატებასთან (გარდა გრანტებისა და სხვა ხარჯებისა), ძირითადად, პროცენტის მუხლით განეული ხარჯების მნიშვნელოვანი (35.1 მლნ ლარით) ზრდის გავლენით.


პროცენტის მუხლით განეული ხარჯების მთლიანი მოცულობიდან (364.7 მლნ ლარი), საშინაო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებაზე მიიმართა 314.4 მლნ ლარი, საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებაზე კი - 50.3 მლნ ლარი. რაც შეეხება სოციალურ უზრუნველყოფას (715.0 მლნ ლარი), აღნიშნული ხარჯების დიდი წილი გაიწია მოსახლეობის სოციალური დაცვისა (562.4 მლნ ლარი) და მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის (105.5 მლნ ლარი), აგრეთვე, დაგროვებითი საპენსიო სქემის თანადაფინანსების (35.0 მლნ ლარი) პროგრამების ფარგლებში.

სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯები 2025-2026 წლების 1 თვეში (მლნ ლარი)



არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლით გადასახდელები (185.4 მლნ ლარი) 3 თვის გეგმის 26.4%-ს და წლიური გეგმის 4.6%-ს შეადგენს. აღნიშნული გადასახდელების დიდი წილი თავდაცვის შესაძლებლობების განვითარებაზე (73.0 მლნ ლარი) და საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ღონისძიებებზე (64.4 მლნ ლარი) მიიძარს. მნიშვნელოვანი თანხა დაიხარჯა, აგრეთვე, საგანმანათლებლო დაწესებულებების მშენებლობა-რეაბილიტაციაზე (17.3 მლნ ლარი).

ფინანსური აქტივების ზრდის მუხლით გადასახდელები (12.6 მლნ ლარი) 3 თვის გეგმის 16.0%-ს და წლიური გეგმის 1.9%-ს შეადგენს. აღნიშნული მუხლით გაწეული გადასახდელები გადანაწილებულია ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროზე (7.3 მლნ ლარის ოდენობით), ინფრასტრუქტურის სამინისტროზე (0.2 მლნ ლარის ოდენობით) და საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელებზე (5.1 მლნ ლარის ოდენობით).



ვალდებულებების კლების მუხლით გადასახდელები (1,157.8 მლნ ლარი) შესრულების მაღალი დონით ხასიათდება და 3 თვის გეგმის 82.1%-ს და წლიური გეგმის 39.7%-ს შეადგენს, რაც ძირითადად დაკავშირებულია 2021 წელს გამოშვებული ევრობონდების დაფარვასთან (1,059.7 მლნ ლარის ოდენობით).


	1 თვის ფაქტი	3 თვის გეგმის შესრულების %	წლიური გეგმის შესრულების %
ვალდებულებების კლება	1,157.8	82.1%	39.7%
საშინაო	-	-	-
საგარეო	1,157.8	82.7%	40.2%

აღსანიშნავია, რომ საქართველოს 2026 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით განსაზღვრული პროგრამული კოდების გარდა, 1 თვეში გაწეული გადასახდელები მოიცავს დამატებით 1 პროგრამულ კოდს, „სსიპ - ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტი“ (პროგრამული კოდი - 61 00), რომლის ფარგლებშიც მოხდა სახსრების ათვისება, 32.0 ათასი ლარის ოდენობით.

რაც შეეხება სახელმწიფო ბიუჯეტით განსაზღვრული საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელებს, იანვარში, საგარეო და საშინაო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებასა და დაფარვაზე 1,522.5 მლნ ლარი მიმართა, 3 თვის გეგმის 75.8% და წლიური გეგმის 32.2%. ავტონომიური რესპუბლიკებისა და მუნიციპალიტეტებისათვის გადაცემულმა ტრანსფერებმა 17.8 მლნ ლარი შეადგინა (საიდანაც 5.3 მლნ ლარი კაპიტალურ ტრანსფერს წარმოადგენს, ხოლო 12.5 მლნ ლარი - სპეციალურ ტრანსფერს). დაგროვებითი საპენსიო სქემის თანადაფინანსებაზე 35.0 მლნ ლარი მიმართა. გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ მიმდინარე წლის საანგარიშო პერიოდში, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან და წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდიდან ათვისებულ იქნა თანხები, შესაბამისად, 4.1 მლნ ლარის და 32.9 ათასი ლარის ოდენობით.

იანვარში, სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსურ აქტივებზე ოპერაციების ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით გაწეულმა გადასახდელებმა 1,978.2 მლნ ლარი შეადგინა (3 თვის გეგმის 30.8% და წლიური გეგმის 7.2%). ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის მაჩვენებლები ფუნქციონალურ ქრილში:


2026 წლის 1 თვის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის მაჩვენებლები ფუნქციონალურ ქრილში (მლნ ლარი)



სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები სამინისტროების მიხედვით

2026 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის 1 თვის გადასახდელებიდან (3,148.5 მლნ ლარი), მხარტავ დაწესებულებებზე 1,567.6 მლნ ლარი მიიმართა, ხოლო საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელებზე - 1,580.9 მლნ ლარი (მთლიანი გადასახდელების 50.2%). თავის მხრივ, მხარტავი დაწესებულებების მიერ ათვისებული თანხებიდან, 1,467.7 მლნ ლარი (რაც მთლიანი გადასახდელების 46.6%-ს შეადგენს), სამინისტროების მიერ ათვისებულ სახსრებზე მოდის, ხოლო 99.9 მლნ ლარი - სხვა დანარჩენ მხარტავ დაწესებულებებზე (მთლიანი გადასახდელების 3.2%).

2026 წლის 1 თვეში გაწეული გადასახდელების სტრუქტურა (მლნ ლარი)



ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია 2026 წლის იანვარში სამინისტროების მიერ ათვისებული თანხები:

2026 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით სამინისტროებისათვის გამოყოფილი სახსრების ათვისება 1 თვეში (მლნ ლარი)

დასახელება	2026 წლის გეგმა	3 თვის გეგმა	1 თვის ფაქტი	3 თვის გეგმის შესრულების %	წლიური გეგმის შესრულების %
საქართველოს ფინანსთა სამინისტრო	130.0	30.5	8.9	29.2%	6.9%
საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	928.6	149.6	22.4	15.0%	2.4%
საქართველოს ინფრასტრუქტურის სამინისტრო	3,113.7	391.3	103.0	26.3%	3.3%
საქართველოს იუსტიციის სამინისტრო	443.2	93.7	12.4	13.2%	2.8%
საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	9,668.6	2,420.2	708.3	29.3%	7.3%
საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო	225.0	58.3	22.8	39.0%	10.1%
საქართველოს თავდაცვის სამინისტრო	1,890.0	549.9	198.8	36.2%	10.5%
საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო	1,547.0	359.3	108.3	30.1%	7.0%
საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო	808.2	188.5	49.3	26.2%	6.1%
საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო	2,702.2	675.1	206.4	30.6%	7.6%
საქართველოს კულტურის სამინისტრო	364.8	88.7	14.5	16.3%	4.0%
საქართველოს სპორტის სამინისტრო	325.3	98.5	12.2	12.4%	3.7%
საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტრო	132.9	33.5	0.5	1.6%	0.4%

საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ, მიმდინარე წლის იანვარში, სახელმწიფო ბიუჯეტიდან 8.9 მლნ ლარი აითვისა, რაც წლიური გეგმის (130.0 მლნ ლარი) 6.9%-ს და 3 თვის გეგმის (30.5 მლნ ლარი) 29.2%-ს შეადგენს.

ფინანსთა სამინისტროს, 2026 წლის იანვარში გადასახდელების ფაქტობრივი მაჩვენებელი აღემატება 2023-2024 წლების ანალოგიურ მაჩვენებლებს, ხოლო ჩამორჩება 2025 წლის მაჩვენებელს.




მიმდინარე წლის იანვარში, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებების ათვისების მაჩვენებელი 22.4 მლნ ლარს შეადგენს, რაც წლიური გეგმის (928.6 მლნ ლარი) 2.4% და 3 თვის გეგმის (149.6 მლნ ლარი) 15.0%-ია.

სამინისტროს აღნიშნული გადასახდელები (22.4 მლნ ლარი) 2023-2024 წლების ანალოგიურ მაჩვენებლებზე მეტია, ხოლო 2025 წლის მაჩვენებელს ჩამორჩება.

საქართველოს ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ, 2026 წლის იანვარში, სახელმწიფო ბიუჯეტიდან ათვისებულია 103.0 მლნ ლარი, რაც სამინისტროს წლიური გეგმის (3,113.7 მლნ ლარი) 3.3%-ს და 3 თვის გეგმის (391.3 მლნ ლარი) 26.3%-ს შეადგენს.

რაც შეეხება საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტროს, საანგარიშო პერიოდში, აღნიშნული სამინისტროს მიერ ათვისებული სახსრები 0.5 მლნ ლარს შეადგენს, რაც წლიური გეგმის (132.9 მლნ ლარი) 0.4% და 3 თვის გეგმის (33.5 მლნ ლარი) 1.6%-ია.

რეგიონული განვითარების სამინისტროს და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ ათვისებული ასიგნებების წლიური და 1 თვის მაჩვენებლები 2023-2026 წლებში (მლნ ლარი)



საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ, მიმდინარე წლის იანვარში, სახელმწიფო ბიუჯეტიდან ათვისებული ასიგნებების მოცულობა 12.4 მლნ ლარს შეადგენს, რაც სამინისტროს წლიური გეგმის (443.2 მლნ ლარი) 2.8%-ს და 3 თვის გეგმის (93.7 მლნ ლარი) 13.2%-ს უტოლდება.

იუსტიციის სამინისტროს, მიმდინარე წლის იანვარში გადასახდელები (12.4 მლნ ლარი), 2023 წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებლებთან შედარებით, გაზრდილია, ხოლო 2024-2025 წლების მაჩვენებელთან შედარებით - შემცირებული.


2026 წლის იანვარში, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი გადასახდელების თითქმის მეოთხედი (22.5%), 708.3 მლნ ლარის ოდენობით, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროზე მოდის, რაც სამინისტროსთვის დამტკიცებული წლიური გეგმის (9,668.6 მლნ ლარი) 7.3%-ს და 3 თვის გეგმის (2,420.2 მლნ ლარი) 29.3%-ს შეადგენს.

აღნიშნული სამინისტროს გადასახდელები, მიმდინარე წლის საანგარიშო პერიოდში (708.3 მლნ ლარი), 2023-2024 წლების ანალოგიურ მაჩვენებლებთან შედარებით, შესამჩნევად მომატებულია, ხოლო 2025 წლის მაჩვენებელს ჩამორჩება.


საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ, 2026 წლის იანვარში ათვისებული ასიგნებები 22.8 მლნ ლარს შეადგენს, რაც წლიური გეგმის (225.0 მლნ ლარი) 10.1%-ს და 3 თვის გეგმის (58.3 მლნ ლარი) 39.0%-ს უტოლდება.

აღნიშნული სამინისტროს გადასახდელები (22.8 მლნ ლარი), 2023-2025 წლების საანგარიშო პერიოდის მაჩვენებლებთან შედარებით, გაზრდილია.


იუსტიციის სამინისტროს მიერ ათვისებული ასიგნებების წლიური და 1 თვის მაჩვენებლები 2023-2026 წლებში (მლნ ლარი)



ჯანდაცვის სამინისტროს მიერ ათვისებული ასიგნებების წლიური და 1 თვის მაჩვენებლები 2023-2026 წლებში (მლნ ლარი)




საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ ათვისებული ასიგნებების წლიური და 1 თვის მაჩვენებლები 2023-2026 წლებში (მლნ ლარი)



საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ, მიმდინარე წლის 1 თვეში, სახელმწიფო ბიუჯეტიდან ათვისებული ასიგნებების მოცულობა 198.8 მლნ ლარს, სამინისტროს წლიური გეგმის (1,890.0 მლნ ლარი) 10.5%-ს და 3 თვის გეგმის (549.9 მლნ ლარი) 36.2%-ს შეადგენს.

თავდაცვის სამინისტროს, 2026 წლის იანვრის გადასახდელები (198.8 მლნ ლარი) 2024-2025 წლების ანალოგიურ მაჩვენებლებს ჩამორჩება, ხოლო 2023 წლის მაჩვენებელს აღემატება.


თავდაცვის სამინისტროს მიერ ათვისებული ასიგნებების წლიური და 1 თვის მაჩვენებლები 2023-2026 წლებში (მლნ ლარი)



საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ, 2026 წლის იანვარში, სახელმწიფო ბიუჯეტიდან 108.3 მლნ ლარი ათვისა, რაც სამინისტროს ასიგნებების წლიური გეგმის (1,547.0 მლნ ლარი) 7.0%-ს და 3 თვის გეგმის (359.3 მლნ ლარი) 30.1%-ს შეადგენს.

აღნიშნული სამინისტროს, მიმდინარე წლის 1 თვის გადასახდელების ფაქტობრივი მოცულობა (108.3 მლნ ლარი), 2023-2025 წლების ანალოგიური მაჩვენებლებთან შედარებით, მომატებულია.


შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ათვისებული ასიგნებების წლიური და 1 თვის მაჩვენებლები 2023-2026 წლებში (მლნ ლარი)



საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ, მიმდინარე წლის იანვარში, სახელმწიფო ბიუჯეტიდან ათვისებული 49.3 მლნ ლარი, რაც სამინისტროს წლიური გეგმის (808.2 მლნ ლარი) 6.1%-ს და 3 თვის გეგმის (188.5 მლნ ლარი) 26.2%-ს უტოლდება.

მოცემული სამინისტროს, 2026 წლის 3 თვის გადასახდელები (49.3 მლნ ლარი), 2023 და 2025 წლების ანალოგიურ მაჩვენებლებთან შედარებით გაზრდილია, ხოლო 2024 წლის მაჩვენებელს ჩამორჩება.


გარემოს დაცვის სამინისტროს მიერ ათვისებული ასიგნებების წლიური და 1 თვის მაჩვენებლები 2023-2026 წლებში (მლნ ლარი)



საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებების ათვისების 1 თვის მაჩვენებელი 206.4 მლნ ლარს, სამინისტროს წლიური გეგმის (2,702.2 მლნ ლარი) 7.6%-ს და 3 თვის გეგმის (675.1 მლნ ლარი) 30.6%-ს შეადგენს.

2026 წლის საანგარიშო პერიოდში, სამინისტროს გადასახდელები (206.4 მლნ ლარი), 2024-2025 წლების ანალოგიურ მაჩვენებლებს ჩამორჩება, ხოლო 2023 წლის მაჩვენებელს აღემატება.

განათლების სამინისტროს მიერ ათვისებული ასიგნებების წლიური და 1 თვის მაჩვენებლები 2023-2026 წლებში (მლნ ლარი)




*2026 წლის წლიური მაჩვენებელი (ლურჯი სვეტი) გულისხმობს 2026 წლის წლიურ დამტკიცებულ გეგმას.

საქართველოს კულტურის სამინისტროს მიერ, 2026 წლის იანვარში, სახელმწიფო ბიუჯეტიდან ათვისებულია 14.5 მლნ ლარი, რაც სამინისტროს წლიური გეგმის (364.8 მლნ ლარი) 4.0%-ს და 3 თვის გეგმის (88.7 მლნ ლარი) 16.3%-ს შეადგენს.

რაც შეეხება საქართველოს სპორტის სამინისტროს, საანგარიშო პერიოდში, აღნიშნული სამინისტროს მიერ ათვისებული სახსრები 12.2 მლნ ლარს შეადგენს, რაც წლიური გეგმის (325.3 მლნ ლარი) 3.7% და 3 თვის გეგმის (98.5 მლნ ლარი) 12.4%-ია.

აღსანიშნავია, რომ 2025 წლიდან მოხდა კულტურისა და სპორტის სამინისტროს გაყოფა და ჩამოყალიბდა 2 სამინისტრო - კულტურის სამინისტრო და სპორტის სამინისტრო. აღნიშნული სამინისტროების მიერ, მიმდინარე წლის საანგარიშო პერიოდში, სახელმწიფო ბიუჯეტიდან ათვისებული ასიგნებების ჯამური სიდიდე (26.6 მლნ ლარი) 2023-2024 წლების ანალოგიურ მაჩვენებლებს აღემატება. ასევე, სპორტის სამინისტროს 2026 წლის მაჩვენებელი (12.2 მლნ ლარი) აღემატება 2025 წლის ანალოგიურ მონაცემს (9.2 მლნ ლარს), ხოლო კულტურის სამინისტროს 2026 წლის მაჩვენებელი (14.5 მლნ ლარი) აღემატება 2025 წლის ანალოგიურ მონაცემს (10.6 მლნ ლარს).

კულტურის სამინისტროსა და სპორტის სამინისტროს მიერ ათვისებული ასიგნებების წლიური და 1 თვის მაჩვენებლები 2023-2026 წლებში (მლნ ლარი)



*2026 წლის წლიური მაჩვენებელი (ლურჯი სვეტი) გულისხმობს 2026 წლის წლიურ დამტკიცებულ გეგმას.

დანართები

დანართი 1: სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება (მლნ ლარი)

დასახელება	2025 წლის 1 თვის ფაქტი	2026 წლის წლიური გეგმა	2026 წლის 3 თვის გეგმა*	2026 წლის 1 თვის ფაქტი	3 თვის გეგმის შესრულების %	წლიური გეგმის შესრულების %	%-ული ცვლილება წინა წლის 1 თვის ფაქტთან
შემოსულობები	2,318.0	30,759.4	7,757.1	3,256.7	42.0%	10.6%	40.5%
შემოსავლები	1,922.0	24,996.3	5,889.3	1,970.1	33.5%	7.9%	2.5%
გადასახადები	1,821.2	23,200.0	5,567.0	1,880.4	33.8%	8.1%	3.2%
საშემოსავლო გადასახადი	761.6	8,221.0	2,030.0	887.3	43.7%	10.8%	16.5%
მოგების გადასახადი	273.8	3,200.0	945.0	285.4	30.2%	8.9%	4.2%
დღგ	644.4	8,744.0	2,020.0	666.7	33.0%	7.6%	3.5%
აქციზი	109.7	2,700.0	520.0	123.6	23.8%	4.6%	12.7%
იმპორტის გადასახადი	8.6	150.0	32.0	9.4	29.3%	6.3%	8.8%
სხვა გადასახადები	23.0	185.0	20.0	-92.1	-460.4%	-49.8%	-499.9%
გრანტები	5.5	346.3	112.4	3.0	2.7%	0.9%	-45.1%
სხვა შემოსავლები	95.2	1,450.0	209.9	86.7	41.3%	6.0%	-9.0%
არაფინანსური აქტივების კლება	8.7	200.0	40.0	4.3	10.6%	2.1%	-51.3%
ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოკლებით)	127.2	500.0	65.0	43.7	67.2%	8.7%	-65.6%
ვალდებულებების ზრდა	260.2	5,063.1	1,762.7	1,238.6	70.3%	24.5%	376.1%
საშინაო	223.2	1,800.0	231.0	-138.4	-59.9%	-7.7%	-162.0%
საგარეო	36.9	3,263.1	1,531.7	1,377.0	89.9%	42.2%	3630.9%
გადასახდელები	2,279.5	30,881.4	7,903.2	3,148.5	39.8%	10.2%	38.1%
ხარჯები	1,764.3	23,267.6	5,712.4	1,792.7	31.4%	7.7%	1.6%
შრომის ანაზღაურება	222.7	3,420.3	821.0	241.0	29.4%	7.0%	8.3%
საქონელი და მომსახურება	152.2	2,681.5	651.0	152.8	23.5%	5.7%	0.4%
პროცენტი	329.6	1,818.0	598.8	364.7	60.9%	20.1%	10.6%
სუბსიდიები	55.8	1,047.3	267.0	58.4	21.9%	5.6%	4.6%
გრანტები	90.9	2,032.4	344.7	56.6	16.4%	2.8%	-37.7%
სოციალური უზრუნველყოფა	700.3	9,324.2	2,334.1	715.0	30.6%	7.7%	2.1%
სხვა ხარჯები	212.8	2,944.0	695.9	204.1	29.3%	6.9%	-4.1%
არაფინანსური აქტივების ზრდა	311.1	4,044.0	702.3	185.4	26.4%	4.6%	-40.4%
ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის გამოკლებით)	97.0	650.0	78.7	12.6	16.0%	1.9%	-87.0%
ვალდებულებების კლება	107.2	2,919.8	1,409.8	1,157.8	82.1%	39.7%	980.2%
საშინაო	0.1	40.1	10.1	0.0	0.0%	0.0%	-100.0%
საგარეო	107.1	2,879.7	1,399.7	1,157.8	82.7%	40.2%	980.8%
ნაშთის ცვლილება (+ დაგროვება / - გამოყენება)	38.6	-122.0	-146.2	108.1			

* 3 თვის გეგმა წარმოდგენილია 2026 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კვარტალური განხერხის მიხედვით (ფინანსთა მინისტრის 2026 წლის 29 იანვრის ბრძანება №30)

დანართი 2: სახელმწიფო ბიუჯეტის ბალანსი (მლნ ლარი)

დასახელება	2025 წლის 1 თვის ფაქტი	2026 წლის წლიური გეგმა	2026 წლის 3 თვის გეგმა	2026 წლის 1 თვის ფაქტი	3 თვის გეგმის შესრულების %	წლიური გეგმის შესრულების %	%-ული ცვლილება წინა წლის 1 თვის ფაქტთან
შემოსავლები	1,922.0	24,996.3	5,889.3	1,970.1	33.5%	7.9%	2.5%
გადასახადები	1,821.2	23,200.0	5,567.0	1,880.4	33.8%	8.1%	3.2%
გრანტები	5.5	346.3	112.4	3.0	2.7%	0.9%	-45.1%
სხვა შემოსავლები	95.2	1,450.0	209.9	86.7	41.3%	6.0%	-9.0%
ხარჯები	1,764.3	23,267.6	5,712.4	1,792.7	31.4%	7.7%	1.6%
შრომის ანაზღაურება	222.7	3,420.3	821.0	241.0	29.4%	7.0%	8.3%
საქონელი და მომსახურება	152.2	2,681.5	651.0	152.8	23.5%	5.7%	0.4%
პროცენტი	329.6	1,818.0	598.8	364.7	60.9%	20.1%	10.6%
სუბსიდიები	55.8	1,047.3	267.0	58.4	21.9%	5.6%	4.6%
გრანტები	90.9	2,032.4	344.7	56.6	16.4%	2.8%	-37.7%
სოციალური უზრუნველყოფა	700.3	9,324.2	2,334.1	715.0	30.6%	7.7%	2.1%
სხვა ხარჯები	212.8	2,944.0	695.9	204.1	29.3%	6.9%	-4.1%
საოპერაციო სალდო	157.7	1,728.7	176.9	177.4	100.3%	10.3%	12.5%
არაფინანსური აქტივების ცვლილება	302.3	3,844.0	662.3	181.2	27.4%	4.7%	-40.1%
ზრდა	311.1	4,044.0	702.3	185.4	26.4%	4.6%	-40.4%
კლება	8.7	200.0	40.0	4.3	10.6%	2.1%	-51.3%
მთლიანი სალდო	-144.6	-2,115.3	-485.4	-3.8	0.8%	0.2%	-97.4%
ფინანსური აქტივების ცვლილება	8.3	28.0	-132.4	77.0	-58.2%	274.7%	822.6%
ზრდა	135.5	650.0	78.7	120.7	153.4%	18.6%	-10.9%
ვალუტა და დეპოზიტები	38.6	0.0	0.0	108.1			180.4%
სესხები	9.8	632.6	78.7	12.6	16.0%	2.0%	28.3%
აქციები და სხვა კაპიტალი	87.1	17.5	0.0	0.0		0.0%	-100.0%
კლება	127.2	622.0	211.2	43.7	20.7%	7.0%	-65.6%
ვალუტა და დეპოზიტები	0.0	122.0	146.2	0.0	0.0%	0.0%	
სესხები	127.2	500.0	65.0	43.7	67.2%	8.7%	-65.6%
აქციები და სხვა კაპიტალი	0.0	0.0	0.0	0.0			
გალდებულებების ცვლილება	153.0	2,143.3	352.9	80.8	22.9%	3.8%	-47.2%
ზრდა	260.2	5,063.1	1,762.7	1,238.6	70.3%	24.5%	376.1%
საშინაო	223.2	1,800.0	231.0	-138.4	-59.9%	-7.7%	-162.0%
საგარეო	36.9	3,263.1	1,531.7	1,377.0	89.9%	42.2%	3630.9%
კლება	107.2	2,919.8	1,409.8	1,157.8	82.1%	39.7%	980.2%
საშინაო	0.1	40.1	10.1	0.0	0.0%	0.0%	-100.0%
საგარეო	107.1	2,879.7	1,399.7	1,157.8	82.7%	40.2%	980.8%
ბალანსი	0.0	0.0	0.0	0.0			

დანართი 3: სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებები (მლნ ლარი)

კოდი	დასახელება	2026 წლის წლიური გეგმა	2026 წლის 3 თვის გეგმა	2026 წლის 1 თვის ფაქტი	3 თვის გეგმის შესრულების %	წლიური გეგმის შესრულების %
00 00	სულ ჯამი	30,881.4	7,903.2	3,148.5	39.8%	10.2%
01 00	საქართველოს პარლამენტი	91.5	25.1	5.5	21.8%	6.0%
01 01	საკანონმდებლო, წარმომადგენლობითი და საზედამხედველო საქმიანობა	35.2	8.9	2.3	26.3%	6.7%
01 02	საპარლამენტო ფრაქციების, საპარლამენტო პოლიტიკური ჯგუფებისა და ოლქების დელეგატების ბიუროების საქმიანობა	12.1	3.0	0.7	24.6%	6.2%
01 03	საკანონმდებლო საქმიანობის ადმინისტრაციული მხარდაჭერა	44.2	13.2	2.4	18.1%	5.4%
02 00	საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია	10.5	2.9	0.4	15.1%	4.1%
03 00	სსიპ – საქართველოს სახელმწიფო სიმბოლიკისა და ჰერალდიკის დეპარტამენტი	0.9	0.2	0.1	21.8%	5.7%
04 00	საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია	30.0	8.5	1.9	22.4%	6.4%
05 00	სახელმწიფო აუდიტის სამსახური	40.7	10.5	1.8	16.9%	4.3%
06 00	საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია	46.2	11.5	3.0	25.8%	6.4%
06 01	საარჩევნო გარემოს განვითარება	35.4	8.7	2.2	25.4%	6.2%
06 02	საარჩევნო ინსტიტუციის განვითარების და სამოქალაქო განათლების ხელშეწყობა	1.8	0.5	0.1	21.7%	6.3%
06 03	პოლიტიკური პარტიების დაფინანსება	9.0	2.2	0.6	28.5%	7.1%
07 00	საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო	7.9	2.1	0.4	19.9%	5.2%
08 00	საქართველოს უზენაესი სასამართლო	22.3	6.0	1.4	23.4%	6.2%
09 00	საერთო სასამართლოები	180.3	47.3	10.3	21.7%	5.7%
09 01	საერთო სასამართლოების სისტემის განვითარება და ხელშეწყობა	175.5	45.8	10.1	22.2%	5.8%
09 02	მოსამართლეებისა და სასამართლოს თანამშრომლების მომზადება-გადამზადება	4.8	1.5	0.1	7.5%	2.3%
10 00	საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო	13.0	3.4	0.5	14.6%	3.8%
11 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია აბაშის, ზუგდიდის, მარტვილის, მესტიის, სენაკის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის, ხობის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტში	1.5	0.4	0.1	28.7%	6.9%
12 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ლანჩხუთის, ოზურგეთისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტებში	1.3	0.4	0.1	22.1%	6.1%
13 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ბაღდათის, ვანის, ზესტაფონის, თერჯოლის, სამტრედიის, საჩხერის, ტყიბულის, წყალტუბოს, ჭიათურის, ხარაგაულის, ხონის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტში	1.5	0.4	0.1	23.8%	6.8%
14 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ახმეტის, გურჯაანის, დედოფლისწყაროს, თელავის, ლაგოდეხის, საგარეჯოს, სიღნაღისა და ყვარლის მუნიციპალიტეტებში	1.4	0.4	0.1	27.6%	7.1%
15 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია დუშეთის, თიანეთის, მცხეთისა და ყაზბეგის მუნიციპალიტეტებში	1.3	0.3	0.1	28.3%	7.1%
16 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ამბროლაურის, ლენტეხის, ონისა და ცაგერის მუნიციპალიტეტებში	1.3	0.3	0.1	28.4%	7.5%
17 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ადიგენის, ასპინძის, ახალციხის, ახალქალაქის, ბორჯომისა და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტებში	1.2	0.3	0.1	25.9%	6.6%
18 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ბოლნისის, გარდაბნის, დმანისის, თეთრი წყაროს, მარნეულის, წალკის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტში	1.6	0.5	0.1	18.9%	6.0%
19 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია გორის, კასპის, ქარელისა და ხაშურის მუნიციპალიტეტებში	1.2	0.3	0.1	29.3%	7.5%

კოდი	დასახელება	2026 წლის წლიური გეგმა	2026 წლის 3 თვის გეგმა	2026 წლის 1 თვის ფაქტი	3 თვის გეგმის შესრულების %	წლიური გეგმის შესრულების %
20 00	საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური	380.0	81.9	18.0	22.0%	4.7%
20 01	სახელმწიფო უსაფრთხოების უზრუნველყოფა	279.1	55.6	13.8	24.8%	4.9%
20 02	ოპერატიულ-ტექნიკური საქმიანობის უზრუნველყოფა	66.4	16.8	2.6	15.4%	3.9%
20 03	უსაფრთხოების კადრების მომზადება, გადამზადება და კვალიფიკაციის ამაღლება	6.5	2.5	0.2	6.1%	2.3%
20 04	სადაზვერვო საქმიანობის უზრუნველყოფა	28.0	7.0	1.5	21.2%	5.3%
21 00	საქართველოს პროკურატურა	98.7	25.7	5.7	22.2%	5.8%
22 00	შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი	5.2	1.8	0.2	12.1%	4.3%
23 00	საქართველოს ფინანსთა სამინისტრო	130.0	30.5	8.9	29.2%	6.9%
23 01	სახელმწიფო ფინანსების მართვა	35.5	7.7	1.6	20.1%	4.4%
23 02	შემოსავლების მობილიზება და გადამხდელთა მომსახურების გაუმჯობესება	15.3	0.4	0.03	7.1%	0.2%
23 03	ეკონომიკური დანაშაულის პრევენცია	61.6	17.0	5.7	33.2%	9.2%
23 04	ფინანსების მართვის ელექტრონული და ანალიტიკური უზრუნველყოფა	10.8	3.4	1.0	29.8%	9.2%
23 05	საფინანსო სექტორში დასაქმებულთა კვალიფიკაციის ამაღლება	2.4	0.8	0.4	47.8%	16.4%
23 06	ბულალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობა	4.3	1.1	0.3	24.3%	6.1%
24 00	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	928.6	149.6	22.4	15.0%	2.4%
24 01	ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება	22.2	4.6	1.5	32.7%	6.8%
24 02	ტექნიკური და სამშენებლო სფეროს რეგულირება	2.9	0.8	0.2	23.5%	6.3%
24 03	სტანდარტიზაციისა და მეტროლოგიის სფეროს განვითარება	2.4	0.8	0.2	21.6%	7.5%
